ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ ნ-13/01181904127-17

"09." "10." 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, ჩიხი კახეთის №25-ში (საკ. კოდი №01.19.21.001.158) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ადმინისტრაციის ოფისის რეკონსტრუქცია (დაშენება) – II კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2862420 11.10.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი – სამგორი, ჩიხი კახეთის №25-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების ნახატი. ნაწილობრივ შეცვლილია რელიეფის დახრა. ფასადებზე ცოკოლის ნაწილი მოპირკეთებულია ქვით.

"ა-4" ფასადი: 2-4 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდიციონერები.

"ა-გ" ფასადი: ბ-გ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ღიობი. ა-ბ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილი. ნაწილობრივ შეცვლილია კედლის ღებვის ფერი. ა და გ ღერძებზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. +5.15 ნიშნულის ზევით კედლის ნაწილი შეფუთულია თუნუქის ფურცლებით.

"4-1" ფასადი: 3-2 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი. 4-3 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდიციონერები. 2-1 მონაკვეთში +2.55 ნიშნულზე აივნის ფილაზე დამატებით მოწყობილია დეკორი.

"გ-ა" ფასადი: ბ-ა მონაკვეთში შემცირებულია კიბის საფეხურების რაოდენობა. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი. გ-ა მონაკვეთში ±0.00 და +2.60 ნიშნულებზე შეცვლილია მოაჯირების ნახატი და მასალა. +2.60 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. +2.60 ნიშნულზე აივანზე გაუქმებულია კოლონები. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია აივანზე მოწყობილი საყრდენების მასალა.

„გეგმების მიხედვით": სარდაფის სართულზე გ-ბ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მთლიანი ფართი. ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების მდებარეობა და გაბარიტი.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „მშენებელი თბილისი 95"-ს, ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, ჩიხი კახეთის №25-ში (საკ. კოდი №01.19.21.001.158) მდებარე მშენებლობადამთავრებული

ობიექტის (ადმინისტრაციის ოფისის რეკონსტრუქცია (დაშენება) – II კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/011819041 27-17 09.07.2018წ. განცხადება.
№წ-19/011819041 27-17 10.07.2018წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01182893854**
თარიღი: **16/10/2018**
პინი: **5661**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: ოლეგ ჭანყოშვილი
პირადი ნომერი: 01027022930
მისამართი: თბილისი რ.ხომლელის ქ. კორ. 5"ა" ბ. 31

თქვენი N19/01192+04127-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების ერთი ეგზემპლარი.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

0160
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო
ჟ. შარტავას, 7